ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲪᲐᲛᲔᲢᲔ

ᲛᲠᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲛᲣᲨᲐᲠᲔᲑᲝ ᲛᲔᲚᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ, ᲨᲔᲛᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥ. Კ. Კ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠ. ᲓᲐ ᲗᲑ. ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥ. ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ—14—76, ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲛᲝᲠᲒᲔᲑᲘᲡᲐ—22—17, ᲡᲐᲛᲔᲠᲜᲝᲔᲑᲘᲡᲐ 10—56, ᲒᲐᲛ. ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡᲐ—8—31.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ
26
ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ
1933 Წ.
№ 247 (3803)

ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲭᲠᲘᲗ ᲕᲘᲒᲠᲫᲝᲚᲝᲗ ᲞᲐᲠᲢᲡᲬᲐᲕᲚᲔᲒᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების განუხრელად განხორციელების საფუძველზე საქართველოს პარტორგანიზაციებმა უკანასკნელი ორი წლის განძღვლობაში მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვეს პარტსწავლების საქმეში.

პარტია მუდამ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს პარტიის წევრებისა და კანდიდატების, კომკავშირელების, მოწინავე მუშების და საკოლმეურნეო აქტივის მარქსისტულ - ლენინური თეორიით შეიარაღებას.

პარტიამ, რომელიც განუხრელად ანხორციელებდა და ანხორციელებს **ლენინის** ისტორიულ მითითებას — **„მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ იმ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით იხელმძღვანელება“.** — დიდი მუშაობა ჩაატარა მასების დასაორგანიზებლად მარქს - ლენინ - სტალინის რევოლუციური თეორიის დაუფლებისათვის. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ მუშაობას ეხლანდელ მომენტში, საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მომავალ წმენდასთან დაკავშირებით.

პარტიის რიგების წმენდამ, რომელიც ეხება მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რესპუბლიკებში, გააძლიერა ბევრგან პარტიის წევრებისა და კანდიდატების იდეური - პოლიტიკური მომზადების დაბალი დონე. კომუნისტები, რომლებიც საუკეთესოდ მუშაობენ საწარმოებში, ასრულებენ სამრეწველო - საფინანსო გეგმებს, უკოლონიალობის ირგვლივ პარტიის პროგრამისა და წესდების ელემენტალურ საკითხებიც კი.

ეს მდგომარეობა ჩვენს წინაშე დაყენებით აყენებს პარტიული სწავლების კიდევ უფრო გაძლიერების, მასში პარტიის წევრებისა და კანდიდატების მთელი შემადგენლობის ჩაბმის ამოცანას.

ამხ. **ლ. ბერია,** თავის მიმართვაში ნაციონალისტების ცენტრალური კომიტეტების, საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტების მდივნებისადმი, (რომელიც **„კომუნისტის“** 21 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა) მითითებებს: „პარტიის სამხარეო კომიტეტი, რომელიც პარტიულ სწავლებას შემოდგომა - ზამთრის პერიოდში სთვლის პარტმასობრივი მუშაობის ერთერთ ძირითად დარგად, აფრთხილებს ცენტრალურ, საოლქო და სარაიონო კომიტეტებს, მხარის ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, რომ პარტიის წმენდისათვის მზადების ერთერთ გადამწყვეტ მძიმენებელს წარმოადგენს პარტიის ყველა წევრის და კანდიდატის ასი პროცენტით ჩაბმა მარქსისტულ - ლენინური სწავლებაში, ყველა ასეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტიული სწავლების შეუფერხებელ მსვლელობას შემოდგომა - ზამთრის პერიოდში“.

პარტსწავლების შემოდგომა - ზამთრის ქსელის საუკეთესოდ მოწყობისთვის მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა საქართველოს პარტორგანიზაციამ. გასულ წელთან შედარებით, წელს რაიონული ორგანიზაციები გაცილებით უკეთესად მოემზადენ ამისათვის. ძირითადად სწორად ჩატარდა პოლიტსკოლების დაკომპლექტება. პრობაგანდისტებად, რომლებიც სწყვეტენ პარტსწავლების საკითხს, შერჩეულია საუკეთესო ამხანაგები. მსგვავი კომიტეტებთან და მსგვავი კომიტეტებთან მოეწყო პროპაგანდისტთა სემინარები, პარტკაბინეტები, საკონსულტაციო ბიუროები. პარტიული სწავლების საუკეთესოდ დაყენებისათვის. გამოყენებულ იქნა მუშაობის მრავალი ახალი და ცოცხალი ფორმა, სოციალ-კონომიკურ ფორმაციებში, პარტკაბინეტებში, პარტსწავლების დაყენებას სათავეში ჩაუდგენ სამხანგლო - სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებები.

ტფილისის პარტორგანიზაციის ლენინის რაიკომმა გასულ წელთან შედარებით 180 პროცენტით გაზარდა მუშა პროპაგანდისტების რიცხვი. მარტო ამხ. სტალინის სახელობის სარეპინტო ქარხანაში სამოცდათხიდან მუშა-პროპაგანდისტია ოცდათერთმეტი, საორთქლმავლო დეპოში თექვსმეტიდან 10 მუშა — პროპაგანდისტია. ივგივე უნდა ითქვას ტფილისის სადგურის მეურნეობაზეც, სადაც 18 პროპაგანდისტიდან 13 დაწესებულებული მუშაა და ა. შ. ლენინის რაიონის პარტორგანიზაციამ შესძლო პოლიტსკოლებში და წრეებში პარტიის წევრებისა და კანდიდატების მთელი შემადგენლობის და 5.421 უპარტიო დამკვრელი აქტივისტის ჩაბმა. წრებსა და სკოლების ვადაზე და სწორად დაკომპლექტების შედეგათ რაიონში საუკეთესოდ ჩატარდა პარტიული სწავლების პირველი დღე. **ამ უამათ ძირითადად სკოლები და წრეები შეუფერხებლად მუშაობენ.**

შემოდგომა - ზამთრის პარტსწავლების საუკეთესოდ დაყენების საქმეში წინ მიდის აბაისტანის ორგანიზაციაც.

აბაისტანმა გადაჭარბებით შეასრულა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საკონტროლო დავალება პარტსწავლებაში 4.323 კაცის ჩაბმის შესახებ. ფაქტიურად ჩაბმულია 4.372 კაცი — პარტიის წევრები და კანდიდატები მთლიანად და უპარტიო დამკვრელი 1886 კაცის რაოდენობით. დამაკმაყოფილებელია მსმენელების დასწრებაც.

მაგრამ ასე როდი მუშაობს ყველა რაიონის პარტორგანიზაცია.

იქ, სადაც ძირეული პარტიული რგოლები, პარტუჯრედები და რაიონული კომიტეტები კონკრეტულ ხელმძღვანელობას უწევენ პარტიული სწავლების ქსელს — მუშაობაც ნაყოფიერად მიმდინარეობს, ადგილი არა აქვს მეცადინეობის ჩაშლას. მსმენელების ჩამოშორებას. იქ, კი სადაც ხელმძღვანელობა სუსტია ამ მხრით სავალალო მდგომარეობაა. მაგ. ეს უნდა ითქვას 26 კომუნარის სახ. რაიონზე (ტფილისი) სადაც შემოდგომა ზამთრის პარტსწავლების ქსელი ჩაშლის საფრთხის წინაშე დგას. რაიონში არ არის უზრუნველყოფილი პროპაგანდისტთა კადრები. (ამ ჟამად დამატებით საჭიროა 25 პროპაგანდისტი) პროპაგანდისტების უყოლობის ვიმო რაიონის 35 პოლიტსკოლაში ორ ოქტომბერს ჩაიშალა მეცადინეობა. მეცადინეობის ჩაშლის ფაქტებს ადგილი ქონდა პარტსწავლების შემდეგ დღეებშიაც (7-და 13 ოქტომბერს).

შემოდგომა ზამთრის პარტსწავლების დაყენების საქმეში მეტად ცუდი მდგომარეობაა ტრანსპორტზე. ამ მხრით საკმარისია რკინის გზის მარტო სამტრედიის კვანძის პარტორგანიზაციის დასახელება, სადაც ჩაფუშულია პარტსწავლების ქსელის მუშაობა. ადგილობრივმა პარტორგანიზაციამ ვერ შეათვისა ერთმანეთთან ტრანსპორტის მუშაობის ვარდნების ამოცანები და პარტიული სწავლება. მეორე საეჭვოტაციო რაიონის პოლიტ განყოფილების ვალია ეხლავე ჩაერიოს ამ საქმეში, სასწრაფოდ უზრუნველყოს მდგომარეობის გამოსწორება. რადგან ამის მომთმენი ერთი წუთითაც არ შეიძლება. „პარტიის სამხარეო კომიტეტი აფრთხილებს საქალაქო კომიტეტის, რაიკომების და უჯრედების ყველა მდივანს, რომ **პარტიული სწავლების ნორმალური მსვლელობისადმი მაღალი ხარისხისათვის მათ აწევთ ისეთივე პასუხისმგებლობა, როგორც უმნიშვნელოვანესი სამეურნეო პოლიტიკური კამპანიების ჩატარებისათვის“.** (ამხ. **ლ. ბერიას** მიმართვიდან)

შემოდგომა ზამთრის ქსელის **ძირითად** ამოცანას წარმოადგენენ პარტიული სწავლების მაღალი ხარისხის მიღწევა. ამას ჩვენ შევძლებთ, თუ ყოველდღიურ, ცოცხალ და კონკრეტულ ხელმძღვანელობას გავუწევთ პროპაგანდისტს, თუ უზრუნველვყოფთ პოლიტსკოლებში სწავლების აქტიური მეთოდების ფართოდ გამოყენებას. აღმოვფხვრით გაცდენის და დაგვიანების ფაქტებს.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 31 —ოქტომბრის დადგენილების ორი წლის თავის შესრულებასთან დაკავშირებით უნდა შევამოწმოთ პარტსწავლების დარგში ჩატარებული მუშაობა. კიდევ მეტი მზრუნველობით მოვეკიდოთ პარტიული სწავლების საქმეს, მარქსის, ლენინის, სტალინის შრომების შესწავლას, რომ მარქსისტულ - ლენინური თეორიით შეიარაღებული პარტიული მასები კიდევ უფრო დავრაზმოთ პარტიის გენერალური ხაზისათვის საბრძოლველად, ყველა ჯურის გადახრების წინააღმდეგ საბრძოლველად. უკლასო სოციალისტური საზოგადოების ხუთწლედის ამოცანების პოლშევიკურად გადაწყვეტელებისათვის.

ამ მხრითაც ჩვენი მუშაობის ყოველდღიურ პროგრამას უნდა წარმოადგენდეს გენიალური ბელადის **ამხ. სტალინის** საბრძოლო მითითება: **„რომ იყოს ნამდვილი მოწინავე რაზმი, პარტია შეიარაღებული უნდა იქნას რევოლუციური თეორიით, მოძრაობის კანონების ცოდნით, რევოლუციის კანონების ცოდნით. უამისოდ მას არ ძალუძს უხელმძღვანელოს პროლეტარიატის ბრძოლას, თან გაიყოლოს პროლეტარიატი“.**

ᲛᲐᲡᲝᲒᲠᲘᲕ ᲒᲐᲛᲝᲛᲒᲝᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ—ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

1930 წ. 26 ოქტომბერს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ფრიად მნიშვნელოვანი დადგენილება მასობრივი გამომგონებლობის შესახებ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ დადგენილებამ ახალი ფურცელი ჩასწერა საბჭოთა კავშირში გამომგონებლობის განვითარების ისტორიაში. ამ დადგენილებაში „ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ გამოგონებათა, გაუმჯობესებათა და მუშათა წინადადებების გამოყენება საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში სრულიად არა დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული, რაც შედეგია გაჭიანურება-საბიუროკრატიის, რომელიც გამომდინარეობს კლასობრივად მტრული ელემენტების შავნებლობისაგან და აგრეთვე იმ სამეურნეო, პროფკავშირული და პარტიული ორგანიზაციების ყოვლად დაუშვებელ უმოქმედობისა და უპასუხო სმგებლობისაგან, რომელნიც ჯეროვნად ვერ აფასებენ მასობრივი და გამომგონებლობის მნიშვნელობას იმ ახალი ტექნიკის შექმნაში, რაც უზრუნველყოფს კაპიტალიზმის პირობებში არნახულ შრომის ნაყოფიერების ზრდას საბჭოთა კავშირში“.

სამმა წელმა განვლო ამ დადგენილების მიღების დღიდან. მესამე წლისთავი ხვდება იმ მომენტს, როდესაც, მეორე ხუთწლედის გრანდიოზულ ამოცანებთან დაკავშირებით, უფრესად იზრდება გამომგონებლობის მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში. ახალი საწარმოებისა და ახალი ტექნიკის ათვისება, პროდუქციის ხარისხობრივი გაუმჯობესების გადაჭრით გაუმჯობესება მოითხოვს, როგორც არასდროს, — მუშათა კლასის საწარმოო ინიციატივისა და შემოქმედებითი უნარიანობის ფართოდ გაშლას და მობილიზაციას. სწორედ მუშა-გამომგონებლების წინაშე დგას ამოცანა —ბეჯითი და სისტემატიური მუშაობით უზრუნველყონ ახალი, რთული ტექნიკის სწრაფად ათვისება და ამავე დროს, რაც შეიძლება ჩქარა გაათავისუფლონ სოციალიზმის მშენებელი ქვეყანა უცხოეთზე ეკონომიური დამოკიდებულებისაგან.

რა აღტაცებით შეხვდა საბჭოთა კავშირის მთელი მუშათა კლასი „კრასნი პუტილოვეცის“ გამომგონებლების მობართვას, რომელშიაც ისინი ამბობენ: მთელ რიგ გამოგონებათა მეოხებით „ჩვენ შევძლოთ ტრაქტორშენებლობისა და ტურბინმშენებლობის ათვისებისას ბევრი მხრით განვთავისუფლებულიყავით უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან და მიგვეცა **სახელმწიფოსათვის 1.500.000 ოქროს მანეთის ეკონომია“.** ეს არის იმის საუკეთესო მაგალითი, თუ რა შედეგი მოგვცა საკ. კპ.(ბ) ც.კ-ის 1930 წლის 26 ოქტომბრის დადგენილებამ.

გავლილი სამი წელი კერძოდ საქართველოსათვის, წარმოადგენს გარდატეხის პერიოდს მასობრივი გამომგონებლობის დარგში. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ ამ ხნის განძავლობაში შემოსულია -10.600-ზე მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება. წინასწარი დაახლოვებითი ვარაუდით, ამ წინადადების გატარებით საქართველოს სახალხო მეურნეობას შეუძლია მიიღოს 20 მილიონ მანეთამდე ეკონომია ყოველწლიურად, თუ დაწესებულებათა ბიუროკრატული ელემენტების დანაშაულებრივი მოქმედებით ისინი დასამარებული არ იქნებიან.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ გაძლიერდა ყურადღება გამომგონებლობის ხელმძღვანელი ორგანოებისათვის შესაფერისი კადრების მომზადებისადმი. მიმდინარე წელს, ამ მიზნით ჩამოყალიბდა სპეციალური კურსები, რომელშიც დაამთავრა 96 კაცმა. ისინი ახლა გამოყენებული არიან ხელმძღვანელ სამუშაოებზე.

მიუხედავათ ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ მასობრივი გამომგონებლობის დარგში თითქმის ყველაფერი რიგზეა. მოპოებული მიღწევები სრულიად არ გვაძლევს საბაბს მივჩქმალოთ მთელი რიგი დეფექტები და დამხანჯლებანი, რომლებსაც ადგილი აქვს მასობრივი გამომგონებლობისადმი დამოკიდებულების დარგში. ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევა, როდესაც ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაცია არ აფასებს მუშათა გამომგონებლობას. აბა რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სატყეო ტრესტში, „მკერავი“ № 2-ში „საქ. ჩაის“ მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში და სხვაგან აჭიანურებენ მუშათა გამომგონებლობის ბიუროების ჩამოყალიბებას. არის შემთხვევები, როდესაც ესათუის სამეურნეო მუშაკი, „ობიექტური“ მიზეზით, გვერდს უვლის გამოგონების გატარებას. ამას. წინად ჩვენმა გაზეთმა ამხილა, რომ შორაპნის სავაგონო დეპოს უფროსი **კვინიკაძე** არ ატარებდა იმავე დეპოს ზეინკალ **ჯაფარიძის** გამოგონებას, რომლის მიზანია ბუქსების დაკარგვის თავიდან ასაცილებლად **საკეცების** მოწყობა. ამ საქმეში ჩაერია ა-კ. რკინის გზის პირველი გზის რაიონის პოლიტგანყოფილება. პოლიტგანყოფილების უფროსის ამხ. **ნესტოროვის** წერილში, რომელიც მან ჩვენს რედაქციას გამოუგზავნა, ნათქვამია: „ამხ. **ჯაფარიძის** მიერ გამოგონილი საკეცები ნამდვილი საშუალებაა ბუქსის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად; შორაპნის სავაგონო დეპოს წინადადება მიეცა სასწრაფოდ შეუდგეს ასეთი საკეცების მოწყობას ბუქსებზე“. სამწუხაროდ, კვინიკაძეები გამონაკლისს არ შეადგენენ: ისინი მოიპოვებიან სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში და ჩვენ ვალდებულნი ვართ გადავხედოთ ჩვენ ორგანიზაციებში მათ მიმართ ჩვენ მიერ დაკავებული პოზიცია.

ცენტრალური კომიტეტი თავის დადგენილებაში აღნიშნავს, რომ გამომგონებლობის შესახებ დირექტივების შეუსრულებლობა უნდა შეფასდეს **„როგორც ოპორტუნიზმის ერთერთი უხეში გამოვლინება პრაქტიკაში“.** მთელი სისასტიკით უნდა დავარტყათ მუშათა გამომგონებლობის აბუჩად აგდების, მისი უგულებელყოფის და, ხშირად, აშკარად, საბოტაჟის ყოველგვარ ცდას.

გამომგონებლობაზე უშუალო ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვთ პროფესიულ ორგანიზაციებს. გამომგონებელთა ნებაყოფლობითი საზოგადოების უჯრედების ქსელის ფართოდ გაშლით, ამ უჯრედებში სისტემატიური მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის წარმოებით, გამომგონებელთა ტექნიკურ განვითარებაზე ყოველდღიური ზრუნვით პროფკავშირებმა მკვიდრ ნიადაგზე უნდა დააყენონ საგამომგონებლო მუშაობა. ცხადია, ამით სრულიად არ მცირდება პარტიული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების როლი. ისინი მოწოდებულნი არიან განუხრელად გაატარონ დირექტივები გამომგონებლობის შესახებ.

ყოველმხრივ დავეხმაროთ მუშა-გამომგონებლებს, შევქმნათ სრულიად ნორმალური პირობები. მათი შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფიერად გაწლისათვის, მაგრად დავარტყათ ბიუროკრატებს და სამტაჟიკებს, რომლებიც აფერხებენ მასობრივი გამომგონებლობის განვითარებას, მივაღწიოთ იმას, რომ არცერთი გამოგონება, რაციონალიზატორული წინადადება და ტექნიკური გაუმჯობესება არ დარჩეს სერიოზული ყურადღებისა და გულისხმიერი მოპყრობის გარეშე.

ᲐᲛᲮ. ᲚᲘᲢᲕᲘᲜᲝᲕᲘ—ᲜᲝᲒᲔᲚᲘᲡ „ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ“ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 22 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. ყველა გაზეთი იუწყება, რომ ნობელის **„მშვიდობიანობის პრემიით“** და საგანგებოდ წამოყენებულია განიარალების **კონფერენციის თავმჯდომარის ჰენდერსონის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ლიტვინოვის კანდიდატურა (ადს).**

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲡ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲒᲡ

ამხ. კალინინსა და რუზველტს შორის მიმართვების გაცვლა-გამოცვლაზე

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ

ᲨᲔᲘᲐᲮᲘᲜᲘ, 22 ოქტომბერი. ბეიპინის და ტიანძინის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობა რუზველტსა და ამხ. კალინინს შორის მიმართვების გაცვლა - გამოცვლის შესახებ და საბჭოთა პრესის კომენტარიები. ბევრი გაზეთი თვალსაჩინო ადგილზე ათავსებს ამხ. კალინინის და რუზველტის სურათებს.

„დაგუნბაო“ აქვეყნებს აგრეთვე მისი მოსკოველი კორესპონდენტის ცნობას, რომელშიაც ნათქვამია, რომ ამერიკა - საბჭოთა კავშირის ურთიერთგაგება ხელსაყრელია ჩინეთის და საბჭოთა კავშირის მჭიდრო თანამშრომლობისათვის.

„იუნბაოს“ სიტყვით, ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაახლება უდიდეს გაგლენას მოახდენს საერთაშორისო წონასწორობის დამყარებაზე წყნარ ოკეანეში.

„ჩენბაო“ ფიქრობს, რომ ამერიკის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას თან დაკავშირებით მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში საგრძნობლად გაუმჯობესდება.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

ᲞᲠᲐᲒᲐ, 23 ოქტომბერი. ცნობამ რუზველტსა და კალინინს შორის მიმართვების გაცვლა - გამოცვლის შესახებ, რომელიც გამოაქვეყნა გერმანიის პრესამ, გასროლილი ყუმბარის შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან ჯერ კიდევ წინადღით გერმანიის მთელი პრესა უარყოფდა იმას, რომ მოსალოდნელია ამერიკა - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის მოგვარება. ყველა გაზეთი იძულებულია სცნოს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ეს ახალი, მსოფლიო მნიშვნელობის გამარჯვება. ლიტვინოვმა, — სწერს „დეინე ალგემეინე ცეიტუნგი“, — რომელმაც უკვე ლონდონში საბჭოთა კავშირის დასავლეთ და აღმოსავლეთ მეზობლებთან (გარდა იაპონიისა) თავდაუსხმელობის პაქტების დადების დროს გამოამჟღავნა საბჭოთა კავშირის,როგორც ევროპულ და აზიურ სახელმწიფოს, მსოფლიო პოზიციის ღრმა გაგება, ამ თავის წარმატებებს, თავისი ენერგიის და წინდახედულობის მეოხებით, კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმატება მიუმატა (ადს).

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

ᲢᲝᲙᲘᲝ, 23 ოქტომბერი. დღეს ტოკიოს და ოსაკას ბირჟებზე გრძელდებოდა ფასიანი ქაღალდების, მათ შორის სამრეწველო საწარმოთა აქციების კურსის დაცემა. ეკონომიურ წრეებში გამეფებული პესიმისტური განწყობილების მიზეზებს შორის ასახელებენ ამერიკა - საბჭოთა კავშირის დაახლოებას.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 23 ოქტომბერი. ლიბერალური „ნიუ ქრონიკლი“ ესაუბრება მიმართვების გაცვლა - გამოცვლას რუზველტსა და კალინინს შორის, აღნიშნავს რა, რომ ეს განმტკიცებს საერთაშორისო მშვიდობიანობის საქმეს.

ლიბერალური „მანჩესტერ გარდიანი“ სწერს: „ლიტვინოვს ყოველგვარი საფუძველი აქვს კმაყოფილი იყვეს თავისი საგარეო პოლიტიკით“. გაზეთს შესაძლოდ მიაჩნია, რომ შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირის ექსპორტში დაიკავებს გერმანიის ადგილს. გაზეთის სიტყვით, რუზველტმა „გამოიყენა შეშფოთება, რომელიც გამოეპარა ინგლისის მთავრობას“. „მას შეუძლია მოულოდნელად თავის თავს, თუ საბჭოთა იმპორტის უდიდესი წილი ინგლისიდან და გერმანიიდან გადატანილ იქნა შეერთებულ შტატებში“. (ადს).

ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲐ ᲓᲐᲚᲐᲓᲘᲔᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲠᲝᲑᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 24 ოქტომბერი. დღეს, ნაშუადამეს 2 საათსა და 45 წუთზე, დეპუტატთა პალატამ 329 ხმის უმრავლესობით, 241 წინააღმდეგ, უნდობლობა გამოუცხადა **დალადიეს** მთავრობას. მთავრობა გადადგა. დალადიეს კაბინეტის დამარცხების უშუალო მიზეზს წარმოადგენა ხმის მიცემა საფინანსო კანონპროექტის 37 მუხლისათვის, რომელიც ლეგალისწრებს ფულის გამოქვითვას. სახელმწიფო მოსამსახურეთა ჯამაგირიდან, თუ იგი წელიწადში 9 ათას ფრანკს აღემატება. სოციალისტური ფრაქციის უმრავლესობამ, რომელსაც ხელმძღვანელობს **ლეონ ბლიუმი,** გაიღაშქრა ამ მუხლის მიღების წინააღმდეგ და დეპუტატთა გოგიურ მოსაზრებებით მოითხოვა, რომ ხელფასის დასაბეგრი მინიმუმი გადიდებულ იქნას 15 ათას ფრანკამდე. სოციალისტური ფრაქციის უმცირესობამ **რადიკალ-სოციალისტური** პარტიის ხელმძღვანელობით ხელი მოაწერა მთავრობის კანონპროექტს. სოციალისტური ფრაქციის განხეთქილებამ დაარღვია მთავრობის უმრავლესობა და როცა მთავრობამ მოითხოვა 37 მუხლის მიღება და დასვა ნდობის საკითხი, მემარჯვენეებმა და უკიდურესმა მემარჯვენეებმა ისარგებლეს შემთხვევით, რომ ჩამოეგდოთ დალადიეს მთავრობა (ადს).

ᲚᲕᲝᲕᲨᲘ ᲡᲐᲒᲕᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲣᲚᲝᲖᲔ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲘᲡ ᲜᲝᲢᲐ ᲞᲝᲚᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲘᲜ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 23 ოქტომბერი, 23 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა პოლონეთში, ამხ. ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕ-ᲛᲘᲮᲔᲔᲚᲔᲕᲡᲙᲘᲡ საგარეო საქმეთა მინისტრს ბეკს გადასცა შემდეგი ნოტა:

21 ოქტომბერს თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირის გენერალურ საკონსულოს ლვოვში, რის შედეგადაც მოკლულია აღნიშნულ საკონსულოს თანამშრომელი ბაილოვი, ხოლო მეორე — გუშაღი დაჭრილია, ეს თავდასხმა შეუძლებელია არ დაეკავშიროთ იმ კამპანიას, რომელიც უკვე დიდი ხნის განმავლობაში წარმოების ზოგიერთ სავოქვოდოში დ., კერძოდ ლვოვში, კამპანიას, რომელიც უკვე საზღვარს სცილდება საბჭოთა კავშირის მიმართ წმსისიანებასა, ცილისწამებასა და წაქეზებაში და რომელიც იწვევს ისახავს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მოსახლეობის განსაზღვრული ფენების ამბოხებისაკენ. ეს თავდასხმა შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ იმ ატმოსფეროში, რომელიც შექმნა ანტისაბჭოთა კამპანიამ, რასაც, მოუხედავად მისი აშკარა შეუწყნარებლობისა, თავისი დუმილით ბეჭედს უსვამდა პოლონეთის ზოგიერთი ხელისუფალი.

ჩემი მთავრობის დავალებით, გიცხადებთ, ბატონო მინისტრო, ფორმალური პროტესტს პოლონეთში საბჭოთა წარმომადგენლობაზე ამ ახალი თავდასხმის გამო. საბჭოთა კავშირის მთავრობამ დამაკისრა განგიცხადოთ, რომ იგი ღრმელ მომწყდარი თავდასხმის სახეწარფოდ და ყოველმხრივ გამოძიებას და ამ თავდასხმაში პირდაპირი და არაპირდაპირი ხელის დამნაშავეების და სახელისჩამდებელების გამოაშკარავებას, აგრეთვე დამნაშავეთა დასჯას, გამოძიების შედეგები, აგრეთვე პოლონეთის მთავრობის მიერ მომავალში მსგავსი შემთხვევების განმეორების შესაძლებლობის აღსაკვეთად მიღებული ზომები, გთხოვთ თქვენ, ბატონო მინისტრო, ცნობათა ყოველივე ეჭვს გარეშეა“ (ადს).

ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲬᲐᲛᲔᲚᲘ ᲛᲝᲙᲕᲔᲓᲔᲑᲐ ᲣᲙ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ

ᲚᲕᲝᲕᲘ, 22 ოქტომბერი. დაპატიმრებული ბორტმეხვედის დაკითხვაზე გამოირკვა, რომ ამხ. მალოზემოვის მკვლელი ლვოვის უნივერსიტეტის სტუდენტია, ის 18 წლისაა. მკვლელმა განაცხადა, რომ ის არის წევრი უკრაინული ფაშისტური ორგანიზაციის — უკრაინის ნაციონალური გაერთიანების, რომლის დავალებითაც ჩავიდინეთ მკვლელობა. დაკითხვაზე დაპატიმრებულმა მწუხარება გამოთქვა, რომ შეირიცა მოკლა, რადგან საბჭოთა კონსულის მოკვლა მჭიდება ღვაწლეობელია. ბორტმეხვედმა უარი განაცხადა პასუხი გაეცა სხვა კითხვებზე. კვლევამდე ცხადყო, რომ მკვლელს უცხოეთის გერმანულ ფირმა „ორგანს“ 7,65 ყალიბას რევოლვერით. თავდასხმასთან დაკავშირებით, პოლიციამ ახლებს ჩხრეკას და დაპატიმრებას. უკრაინელ ნაციონალისტებს შორის ლვოვში. სასამართლო ხელისუფლების განკარგულებით, ლვოვში დახურეს ორი უკიდურესად ნაციონალისტური უკრაინული გაზეთი „ნაშ კლიჩ“ და „ნაშ ჟურნალ“. „ლვოვსკი პოსლანეც“ იუწყება, რომ გაჩხრიკეს აგრეთვე მემარჯვენე უკრაინული გაზეთების „ბოროტბას“ და „გარტის“ რედაქციები. ამ გაზეთების რედაქტორები დაპატიმრეს. ამავე დროს პრესა იუწყება, რომ გაჩხრიკეს (აგრეთვე ლვოვის იმ უკრაინელ კერძოების კანცელარიები, რომელთაც „უკრაინის ნაციონალური გაერთიანების“ დაპატიმრებულ წევრთა დამცველებად გაათ დრდნენ (ადს).

ᲚᲕᲝᲕᲘ, 23 ოქტომბერი. იმ საუბრებიდან რომლებიც სკ. დეპუტათა საგანტოს კორესპონდენტს ჰქონდა, ირკვევა, რომ აქაური პოლონელი წრეები საკონსულოზე თავდასხმას აფასებენ, როგორც საბჭოთა კავშირისა და პოლონეთს შორის კონფლიქტის გამოწვევის ცდას, რომ ხელი შეუშალონ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოვებას. ამ წრეებში დაეჭინებით ლაპარაკობენ, რომ მკვლელობის ინსპირატორები უნდა ვეძიოთ პოლონეთის გარედ ან, ყოველ შემთხვევაში, იმ წრეებში, რომელნიც დაინტერესებულნი არიან პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაუთულებით. ამასთან ერთად, ადგილობრივი ხელისუფლება და საზოგადოებრიობა იგონებენ, რომ იმ ადგილას ხანძრის ანტი-საბჭოთა კამპანიამ, რომელიც მთელი თვეების განმავლობაში უკრაინული ფაშისტური პრესის ფურცლებზე წარმოება, შექმნა ხელსაყრელი ატმოსფერა უკანასკნელი ტერორისტული აქტივისათვის. უკრაინელი მშრომელი მასები ფართო წრეებში ამ კვლევლობამ გამოიწვია აღშფოთება როგორც მკვლელობის ორგანიზატორების, ისე კულაკის შვილის წინააღმდეგ, რომელიც მკვლელობის იარაღად იქნა არჩეული.

„დილო“, რომელსაც, პრესის სხვა ფაშისტურ ორგანოებთან ერთად, მკვლელობის მორალური მომ

პარტიული მშენებლობა

ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობა და დახმარება ლენინურ კომკავშირს

„პარტიული ხელმძღვანელობა არ უნდა განისაზღვრებოდეს ფორმალური მიმაგრებით... მიმაგრებულები ნამდვილად უნდა ეხმარებოდნენ კომკავშირს და პარტორგანიზაციას უნდა აბარებდნენ ანგარიშს მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ“

(ლ. გ ე რ ი ა)

კონკრეტულად ვუხელმძღვანელოთ კომკავშირის უჯრედებს

(ტფილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა).

ტფილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის პარტიის ზოგიერთი უჯრედები, კომკავშირზე ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში აშკარა უყურადღებობას იჩენენ. სკკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილების დამუშავებას პარტბიურო კოლექტიური მეთოდა ფორმალურად ის დაჰყოფილდა. მხოლოდ საკითხის ბიუროს სხდომაზე დამუშავებით.

მომზადების და საქსოვ საამქროს პარტ-უჯრედებს ჯერ კიდევ არ დაუმუშავებიათ სკკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილება „კომკავშირის ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის და დახმარების გაწევის შესახებ“. ამ წლის 16 ივლისიდან დღემდე პარტბიურო კოლექტივს კომკავშირის კომიტეტის მუშაობის შესახებ მიღებული აქვს სამი ზოგადი ხასიათის დადგენილება, რომელშიაც არც ერთი სიტყვა არაა ნახსენები კომკავშირულ უჯრედებს მუშაობის, გარდაქმნაზე,—ძირითული რგოლის განმტკიცებაზე და სხვ.

ზოგიერთ პარტმიმაგრებულთა დაუდევრობით ადგილი აქვს კომკავშირის ერთიანი საკავშირო დღეების ჩაშლის ფაქტებს, ასე მაგალითად; საქსოვი საამქროს კომკავშირის უჯრედში პარტბიუროს გადოლებით გამო 19 ოქტომბერს საკავშირო დღე ჩაიშალა.

პარტბიურო კოლექტივის მდივანმა ამხ. რუხაძემ არ იცის თუ ვინ არის მიმაგრებული პარტიული ხელმძღვანელობის გასაწევად კომკავშირის ცალკე უჯრედებზე.

ქოტიური მდგომარეობაა - მომზადების საამქროს კომკავშირის უჯრედში. ამ საამქროს პარტუჯრედს კომკავშირის დახმარება გასაწევად არ მიუმაგრებია არავინ, კომკავშირის ამ უჯრედის მუშაობა საწარმო-საფინანსო გეგმების შესრულებაში არ ჩანს, ამ უჯრედის ბრიგადამ ის ერთა კვარტალის გეგმა 56,7 პროც. შეასრულა, მეორე კვარტალის გეგმა 49,2 პროცენტით, ხოლო მესამე კვარტალის გეგმა 22,8 პროცენტით.

„არ უნდა ითქვას არც ერთი ცუდათ მომუშავე, ბრტხელმძღვანელობას მოწყვეტილი, საკუთარი თავისამარა ჩიტივებული კომკავშირის უჯრედი“ (ბერია) ამხ. ბერიას ეს მითითება ყურადღებიდან გამოეპარა აბრეშუმის ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციას. მომზადების საამქროს კომკავშირის უჯ-ედი მართლაც რომ „თავის ამარაზა“ დარჩენილა.

სომხელიანტ კომკავშირელთა (ბელოვ ბერძენული, ვერა ქარუმიძე, ოლია ბერძენიშვილი და სხ.) მიმართ ჯერ კიდევ არ არის მიღებული გადამჭრელი ზომები.

მეოთხე კომპლექტში სადაც ყველა კომკავშირელი მუშაობს, სამარცხვინო ჩამორჩენასთან გვაქვს საქმე; პირველი კვარტალის გეგმა მეოთხე კომპლექტის კომკავშირელებმა 43,5 პროც. შეასრულეს, მეორე კვარტალის გეგმა 42,1 პროც. ხოლო მესამე კვარტალის გეგმა 38,8 პროც.

კომკავშირელების კომპლექტში პირველი კვარტალის განმავლობაში გამოშვებული იქნა 11,4 პროც. წუნდებული პროდუქცია, აგვისტოში კი წუნი 17,6 პროცენტამდე გაიზარდა.

კომკავშირელების ამგვარი „მუშაობა“ პარტიის ბიურო კოლექტივის და საწარმოო პარტუჯრედების უყურადღებო ხელმძღვანელობის შედეგია. „პარტია მოითხოვს პარტიული ხელმძღვანელობისაგან სათუთ მზრუნველობით მოპყრობას კომკავშირის საჭიროებისათვის, დახმარების გაწევას მუშაკებით და სახსრებით. ყოველდღიური ხელმძღვანელობის გაწევას კომკავშირელთა კომიტეტის ტურად აღზრდისათვის წარმოებულ მუშაობაზე“ (სკკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილებიდან), სამხარეო კომიტეტის ეს დადგენილება საფუძველად უნდა დაედვას აბრეშუმის ფაბრიკას პარტიულ ორგანიზაციებს მუშაობას კომკავშირის უჯრედებზე ხელმძღვანელობის გაწევის დროში.

სოციალ-ლტური შეჯიბრება და დამკვრელობა კომკავშირის საქსოვი საამქროს და მომზადების საამქროს უჯრედებში არაა გაშლილი, საქსოვი საამქროს კომკავშირის უჯრედის მდივანმა გორგიაშვილმა განაცხადა, რომ ეს არ არის ჩემი საქმე, ამას ხელმძღვანელობს გამოყოფილი ბრიგადიორ. ასე ესმის აქ კომკავშირის ზოგიერთი უჯრედის მდივანს სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობის გაჩაღებაზე ხელმძღვანელობა.

საკავშირო კომკავშირის 15 წლის თავთან დაკავშირებით აბრეშუმის ფაბრიკის კომკავშირის ორგანიზაციამ იკისრა ვალდებულება—მუშაობაში არსებული დეფექტების გამოსასწორებლად. ვალდებულებაში აღნიშნულია; **პირველ დეკემბრამდე ყველა კომკავშირელების მიერ ტესნიკური გამოცდების ჩაბარება,** ყონკურსის მოწყობა ამეკეთესო მჭედველზე, საგუშაგოების მოწყობა კომპლექტებში—წუნდებული პროდუქტის დამოწმებების აღმოფხვრისათვის ბრძოლა-კონტროლის გასაწევად. საწეფო სოფელზე დახმარების აღმორება (გაზეთის გაფრცელება, ლიტერატურის შეგროვება, მოსავლის აღებასთან დაკავშირებით საწეფო სოფელში შაბათობის ჩატარება და სხვა). 24 ოქტომბერის ქარხანაში ჩატარება მასობრივი შაბათობის საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებაში არსებული ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

აბრეშუმის ფაბრიკას ყავს საკეთილო კომკავშ.-ბი, რომლებიც საწ. დავალებათა შესრულებაში იძლევიან სანიმუშო მაგალითებს. ასეთებია ამხ. ნინა ბურდული (საწარმოო გეგმას ყოველთვიურად 156-დან 160 პროცენტამდე ასრულებს) თამარ ბაბილოვი (გეგმას 164,4 პროც. ასრულებს) ივანე უნდა ითქვას ამხ. დომნა მარგველაშვილზე და სხვ. კომკავშირის უჯრედის ბიუროს არც ერთხელ არ დაუსვამს საკითხი დამკვრელი კომკავშირელების მუშაობის შესწავლის შესახებ. ბიუროს არც კი უფიქრია. დამკვრელ კომკავშირელთა პოლიტ-მოცდილების ჩამორჩენილებში გადატანაზე.

აბრეშუმის ფაბრიკის კომკავშირის ორგანიზაციამ სა. კომკავშირის პირველი ყრილობის 15 წლის თავთან დაკავშირებით უნდა გარდაქმნას მუშაობა ის უნდა გადაიქცეს ერთ-ერთ მოწინავეთ კომკავშირიზოვი ტფილისის ორგანიზაციაში.

აბრეშუმის ფაბრიკის პარტიის ბიურო-კოლექტივმა ძირშივე უნდა აღკვეთოს პარტიულ ხელმძღვანელობის საქმეში არსებული დეფექტები. საუკეთესო, შემოწმებული კომუნისტების მიმაგრებით უნდა გააძლიეროს ხელმძღვანელობა კომკავშირზე.

გ. პორიძე.

ამხ. კახიანის სახ. კოლმეურნეობის ბრიგადის კომკავშირელთა ჯგუფი: მაღლაძე, გიგლავიანი, ველიაშვილი იბრძვიან ჭარხლის ამოღების გეგმების შესრულებისათვის. (ტალინისის რაიონი).

პარტიული ხელმძღვანელობა სუსტია

საქ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტმა თავის უკანასკნელ დადგენილებაში ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საბრძოლო ამოცანად დასახა—ლენინური კომკავშირისადმი სისტემატიურ-კონკრეტული ხელმძღვანელობის და დახმარების გაწევა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ამჟამინდელი ხელმძღვანელობის საკითხს სასხვათაშორისო საქმედ თვლის, კ.პ. უჯრედებზე არ ამაგრებენ პარტიულ ამხანაგებს, არ ისმენენ მათ მოხსენებებს კომკავშირის მუშაობის შესახებ და სხვა. ყველაფერი ეს თავს დაღს ასვამს კომკავშირის მუშაობას. ავღილოთ მაგალითად ტფილისის ტრამვაის კომკავშირის ორგანიზაცია. აქ ჩამოყალიბებულია კ.პ. შვიდი უჯრედი, რომლებშიაც გაერთიანებულია კ.პ. 300 წევრი, გამოყოფილია 14 ძირეული კომკავშირული რგოლი, მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ მათი მუშაობა არადამაკმაყოფილებელია, კომკავშირის მთელ რიგ უჯრედებზე (ელსადგური, მიმდინარე შეკეთების საამქრო და სხვ.) არ არიან მიმაგრებული პარტიის წევრები, აქ, სადაც მიმაგრებული არიან კომკავშირის უჯრედებს ხშირად არავითარ დახმარებას და ხელმძღვანელობას არ უწევენ. არ ესწრებიან უჯრედის კრებებს. (ამწუთას საამქროში, ორკლიშინი) არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ კომკავშირის ერთ ვაგონს, ხარემონტო საამქროს კომკავშირელებს: ამხ. გოგელაშვილი გეგმის ზევით უშვებს 50 ქანჩს, 50 შაიბას; გოგოჩაშვილი 100 ქანჩს; ყარალაშვილმა ერარა გეგმის ზევით გამოუშვას ელექტრო-შედუღებისათვის 100 მაგთული და სხვ.

ტფილისის ტრამვაის კომკავშირის ორგანიზაციამ, საკავშირო კომკავშირის პირველი ყრილობის 15 წლის თავის უკეთ ჩატარების მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვია ბაქოს ტრამვაის კომკავშირის ორგანიზაციები.

ჩ—ია.

კომკავშირელები კისრულობენ ახალ ვალდებულებებს

(ლენინის რაიონი)

საქ. კ.პ. (ბ) ლენინის რაიკომმა 20 ოქტომბერს მოიწვია კომკავშირის უჯრედებზე პარტმიმაგრებული ამხანაგების თათბირი, სადაც დამუშავდა საკავშირო კომკავშირის 15 წლისთავის ჩატარების საქმეში კომკავშირისათვის პარტიული ხელმძღვანელობის გაწევის საკითხი. ამავე დღის წესრიგით რაიონში 21—22 ოქტომბერს ჩატარდა ერთიანი პარტიული დღე.

კომკავშირის ცალკე საწარმოების და დაწესებულებების უჯრედებმა და აცხოველეს მუშაობა კომკავშირული სწავლების გადაჭრით გაუმჯობესებისათვის. მათ იკისრეს ვალდებულება კომკავშირელთა და უპარტიოთა მშრომელი ახალგაზრდობის მარქსი-ლენინ - სტალინის რევოლუციური თეორიით შესაიარაღებლად.

დეპოს კომკავშირელებმა იკისრეს გეგმის გარეშე შეაკეთონ ორთქლმავლები № 5293, 5099 და 2218, **ამისათვის უკვე შექმნილია კომკავშირის 15 წლისთავის სახელობის ბრიგადა.**

კომკავშირელები სავაგონო დეპოს შეკეთებიდან ვადაზე ადრე გამოუშვებენ ერთ საბარგო ვაგონს.

სადგურის მეურნეობის მუშა კომკავშირელები კი სიტყვას იძლევიან, რომ არ გაუშვებენ არც ერთ საბარგო ვაგონს, რომელიც სათანადოდ არ იქნება დატვირთული. ამავე დროს პიონერ - ორგანიზაციებისა და უპარტიო ახალგაზრდობის ყურადღება მთლიანად მობილიზებულ ვაგონების სწრაფად განტვირთვაზე.

ავტოგაგანტის კომკავშირელებმა 24 ოქტომბერს ჩაატარეს მასობრივი შაბათობა საწარმოო - საფინანსო გეგმის შესრულებაში ჩამორჩენის გამოსასწორებლად. ამ საწარმოს ყველა კომკავშირელი ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობაში.

რკინის გზის სადგურის კომკავშირის უჯრედს ჯერ არ დაუწყია მზადება კომკავშირის 15 წლისთავის შესახებრედ. ამ საკითხზე მოწვეული ერთიანი საკავშირო დღე უჯრედის მდივნის დაუდევრობით ჩაიშალა.

კომკავშირის ლენინის რაიკომმა კიდევ უფრო მეტად უნდა გაამახვილოს ცალკე კომკავშირელების უყურადღება კომკავშირის 15 წლისთავის საუკეთესოდ ჩატარებისათვის.

რ—ძე.

ნოემბრებს შორის

დიმიტრიევის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების გაზეთ „ბოლშევიკსტკა ნასტუპს“ რედაქციას არ აქვს საკუთარი ბინა. პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწის ოთახი ამავე დროს წარმოადგენს რედაქტორის ოთახსაც. მაგრამ საერთოა, არის ერთად-ერთი სკამი.

მეზობელ ოთახში მოთავსებულია სტამბა (ზინოვიევის სარაიონო გაზეთის სახელობა). ოთახის სიგრძეა—ერთი კვადრატული ხაჟენი. ერთი კუთი მოთავსებულია ტალერზე, მეორე მაგიდაზე, ორი ნახევრად კუთი საბაურის შრიფტით—იატაკზე. განათებაც—ერთად-ერთი ნაგთის ლამპა, რომელიც ამასთან ერთად მომსახურებას უწევს რედაქციასაც და სტამბასაც. რაცა მუშაობს რედაქტორი—გაჩერებულია სტამბა, როცა მუშაობს სტამბა—უქმად არის რედაქტორი.

ახლა ტექნიკა, ქაღალდს სჭირდ პატარა დანით, რომელსაც რედაქცია ყოველთვის ითხოვრობს პოლიტგანყოფილების დარაჯისაგან. ამერიკანკას არა აქვს ფეხი, ლეგაქმი სამოლოოდ გაფუქებულია. ეროი ლილეაკი სრულიად გამორტყელებულია.

სკორპიუსე შრიფტი არის სულ 150 სტრი ჭონისათვის, ამასთან არ ყოფილა სასტრიქონ ნიშნები „პ“, „რ“, „ჭ“, „ე“, „უ“, „ც“, „რ“-ს ნაცვლად იყენებენ შებრუნებულ „რბილ ნიშანს“.

ასეთია მეორე კასის მდგომარეობა. ამიტომ საქირო ხდება გაზეთის დაბეჭდვა ორ წყებად. ჯერ ააწყობენ ერთ გვერდს და დაბეჭდავენ მთელ ტირაჟს, შემდეგ დაშლიან შრიფტს, ააწყობენ და ბეჭდავენ მეორე გვერდს. ასეთია ტექნიკა—ზინოვიევის რაიონული გაზეთის საჩუქარი.

რედაქციის შტატი შემდეგნაირია: რედაქტორი—პონტკოვსკი; გაზეთზე მუშაობს ერთ წელიწადს. დიმიტრიევკაში მოსვლამდე იყო ზნამენკის რაიონული გაზეთ „სოც. ტემპის“ მდივანად. დიმიტრიევკაში მუშაობს 3 ნახ. თვეს.

მასობრივი მუშაკი—არაობიევსკი, კომკავშირელი; გაზეთზე 2 თვეა, რაც მუშაობს წინათ იყო საბავშვო სახლის აღმზრდელად, ფოსტის გამგედ.

რედაქტორის და მასობრივი მუშაკის გაკვარტულებაში მოდამ ხუთი დღე მაინც არის იმისათვის, რომ მოამზადონ მასალა მორიგი ნომრისათვის. ყველაზე უფრო შორეული კოლმეურნეობა, რომელსაც მომსახურებას უწევს დიმიტრიევის სამანქანო-სატრაქტორო სადგური, მდებარეობს არა უმორეს 10—12 კილომეტრისა. მოიპოება ყველა პირობა დიდი ორგანიზაციულ-სტაგანური მუშაობისათვის და პოლიტგაყოფილების პრესის მაჭებთან ფართო კავშირის—მთავარი ამოცანის განხორციელებისათვის.

სავსებით აძლევდა რა თავის თავს ანგარიშს იმაში, თუ რა წარმოადგენს ძირითადს ახალი, პოლიტგანყოფილების პრესის მუშაობაში, „ბოლშევიკსტკი ნასტუპის“ რედაქტორი მართებულად წერდა პირველ „სდეულსაწყოში“ ხომირში (12 იანვარს):

„ჩვენი გაზეთი იწყებს პრაქტიკულ ბრძოლას პარტიის ბელადის ლენინურის განხორციელებისათვის. გაზეთმა გარს უნდა შემოიკრიბოს შემოწმებული, სოციალისტური შენებლობისადმი თავდადებული გლეხკორები, დამკვრელთა აქტივი და მათი დახმარებით აამოძრაოს კოლმეურნეობა ძირში...

ყოველი სურვილებია! დღეს რედაქტორი არ არის. იგი უკვე მეოთხე დღეა რაც წასულია პირადი საქმეების გამო. მესამე დღეა გაზეთს ოშეიბს კომკავშირელი იაროშევიჩი ვერას გზით ვერ ტეხს მასალას“.

მასალის ხარისხი? მთელი გაზეთი,—სათაურიდან უკანასკნელ სტრიქონამდე დაწერილია იაროშევიჩის მიერ,რედაქტორის მადლობისადმი „მოუწყვეტლად“.

შეიძლება თუ არა ერთი შემთხვევითი რამრის მიხედვით შეიფასოთ რედაქციის მუშაობა? ამ შემთხვევაში შეიძლება.

გადავათვალიეროთ გაზეთის ცხრამეტივე ნომერი.

...მასალა დითქოს არ არის ცუდი, თუმცა ძნელია იმის თქმა, რამდენად გამოხატავს გაზეთი კოლმეურნეობის ნამდვილ ცხოვრებას, მაგრამ აი რა გეჩხირებათ თვალში: გაზეთის ყველა სვეტი მონაწილეობას იღებს (ცემულია აქვს ოთხ ავტორს—ალსკის, ა—კიმს, იანსკის და ველიჩკოს, თუ არ ჩავთვლით რედაქტორ პონტკოვსკის და მასობრივ მუშაკ იაროშევიჩს, რომლებიც წერენ ძალიან ხშირად.

ვინ არიან „ბოლშევიკსკი ნასტუპის“ ეს გლეხკორი ბურჯები? შემოწმებიან გეჩვენა, რომ „ალსკი“ არის რედაქტორი პონტკოვსკი, ა—კიი“—მგონი პონტკოვსკი, „იანსკი“—იაროშევსკი, ხოლო „ველიჩკო“—გიგი იაროშევსკი.

ალსკი, ა—კიი და იანსკი—ადვილად მასახვედრი ფსევდონიმებია; ეს თავიდანვე ნათელ იყო. მაგრამ „ველიჩკო“? როგორ შეიძლებოდა ამის მიხვედრა? დახმარება გაგვიწია წვრილმანმა: თვალში გეცეკა ამ გვარად დიდი სიხშირე დიმიტრიევის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოქმედების რაიონებსა. ველიჩკო—ეს იყო „შეკრული“ ა. ო. ველიჩკო... არ არის ისეთი კოლმეურნეობა სადაც არ წერდეს ველიჩკო, აქაური ადგილების ეს ფიგურა.

ველიჩკო, ალსკი და ა—კი არ წერენ მხოლოდ ისეთი კოლმეურნეობებიდან, რომ ა. ველიჩკოს ფეხი არ დაედგას. ამ სამეულ ერთ-ერთ ადგილას ამბობს: ველიჩკო ბოლო ხანებში ძალიან ბევრს მოგზაურობს, ამიტომ ცოტა ხანს ვერ ვნახავთ მის ნაწერებს“. ეს ნიშნავს, რომ ველიჩკო ამ სამეულის ერთ-ერთი ავტორია, ალსკის, ა—კიის, იანსკის და ველიჩკოს, თუ არ ჩავთვლით რედაქტორ პონტკოვსკის და მასობრივ მუშაკ იაროშევსკის, რომლებიც წერენ ძალიან ხშირად.

„ბოლშევიკსკი ნასტუპის“ ეს გლეხკორი ბურჯები? შემოწმებამ გვიჩვენა, რომ „ალსკი“ არის რედაქტორი პონტკოვსკი, ა—კიი“—მგონი პონტკოვსკი, „იანსკი“—იაროშევსკი, ხოლო „ველიჩკო“—გიგი იაროშევსკი.

ალსკი, ა—კიი და იანსკი—ადვილად მასახვედრი ფსევდონიმებია; ეს თავიდანვე ნათელ იყო. მაგრამ „ველიჩკო“? როგორ შეიძლებოდა ამის მიხვედრა? დახმარება გაგვიწია წვრილმანმა: თვალში გეცეკა ამ გვარად დიდი სიხშირე დიმიტრიევის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოქმედების რაიონებსა. ველიჩკო—ეს იყო „შეკრული“ ა. ო. ველიჩკო... არ არის ისეთი კოლმეურნეობა სადაც არ წერდეს ველიჩკო, აქაური ადგილების ეს ფიგურა.

ველიჩკო, ალსკი და ა—კი არ წერენ მხოლოდ ისეთი კოლმეურნეობებიდან, რომ ა. ველიჩკოს ფეხი არ დაედგას. ამ სამეულ ერთ-ერთ ადგილას ამბობს: ველიჩკო ბოლო ხანებში ძალიან ბევრს მოგზაურობს, ამიტომ ცოტა ხანს ვერ ვნახავთ მის ნაწერებს“. ეს ნიშნავს, რომ ველიჩკო ამ სამეულის ერთ-ერთი ავტორია, ალსკის, ა—კიის, იანსკის და ველიჩკოს, თუ არ ჩავთვლით რედაქტორ პონტკოვსკის და მასობრივ მუშაკ იაროშევსკის, რომლებიც წერენ ძალიან ხშირად.

„მე ვარ ღარიბი გლეხი ქალი. გაზაფხულის დაწყებიდანვე ყოველდღე ვმუშაობ კოლმეურნე ქალებთან თავაზიან კოლმეურნეობა „ფრუნზეში“ და უკვე გამომუშავებული მაქვს 80 შრომა-დღე. ამ ხნის განმავლობაში მე სამჯერ შეიტანე განცხადება კოლმეურნეობის წევრად მიღების შესახებ, მაგრამ არც ერთი განცხადება არ არის გარიგული. მე მინდოდა გაგემხდარიყავი დამკვრელი, მაგრამ ბრიგადირი არავის სურს ალიარების წარმოება, ხოლო ბრიგადირი ამბობს, რომ მას არა სკალია ერთბაროდ ეული მეურნეობის თავმჯდომარე ს. ჭიკას კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. მეტრეველმა კოლმეურნეობი აიძულა მთელი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 18 სექტემბრამდი გადაეხადათ.

დასაბეგრი ობიექტების აღრიცხვის დროს კულაკთა სიაში შეტანილი იქნა 32 დაბეგმადელი, რომელსაც გადასახადი ინდივიდუალური წესით შეაწერეს, შემდეგ გამოირკვა, რომ ინდივიდუალურად დაბეგრილთა დიდი უმეტესობა (32-დან 26) საშუალო გლეხები არიან, რომლებიც სარაიონო სადასახადო კომისიის დადგენილებით განთავისუფლებულნი იქნენ ინდივიდუალურ დაბეგვრისაგან.

სოფ. გომში სას. საბჭოს თავმჯდომარემ თავისი ნების, ყოველგვარი სანქციის გარეშე, გაანწია და აკრიფა სას. საბჭოს შენობის ასაგებად საჭირო თანხა. ეს თანხა ყველაფერდაბეგრილებს აგრეთვე დარიბ გლეხებს, რომლებიც განთავისუფლებული არიან სას.-სამ. გადასახადისაგან.

რაიონის მუშაკებმა იციან სადასახადო კანონის ამ მომემარკნენო დამსახურებების შესახებ, მაგრამ დღემდე არავითარი ზომები არ მიუღიათ.

ა. გერშჩვი.

ფულადი სახსრების მობილიზაციას

სისტემატიური კონკრეტული ხელმძღვანელობა

არ შევანელოთ სახსრების ფულადი მობილიზაციის ტემპები

მესამე კვარტალში ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმის ვადამდე შესრულებაზე გორკის მხარის ინიციატივით გამოცხადებულ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საქართველომ დიდი გამარჯვება მოიპოვა და ფინანსგეგმებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში ჩადგა. საფინანსო გეგმები საქართველომ მიდინარე წლის პირველ და მეორე კვარტალშიაც **ბოლშევიკების** შესრულა.

მაგრამ არ ვგრძნობთ მარტო ის, რომ კვარტალის დამლევს ფინანსგეგმა შესრულდეს. სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დაფინანსება წარმოებს არა მარტო კვარტალის დამლევს, არამედ მთელი კვარტალის განმავლობაში. ამიტომ საჭიროა საფინანსო გეგმის სრულებით-ტექნიკურად, ნატიმების გარეშე, დეკადიდან დეკადაში **თანაბრად** შესრულება.

